


პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																								
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – მდ. ტეხურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება																								
2	გენეტიური ტიპი – დანალექი (ალუვიონი)																								
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი – სამშენებლო																								
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																								
4.1	რეგიონი – სამეგრელო – ზემო სვანეთი																								
4.2	მუნიციპალიტეტი – სენაკი																								
4.3	ადმინისტრაციული ერთეული – ძველი სენაკი																								
4.4	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. ძველი სენაკი																								
4.5	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – რ/ც სენაკიდან 6-7 კმ (პირდაპირი მანძილი)																								
4.6	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / ზღვის სანაპირო ზოლიდან – აღემატება 5 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს																								
4.7	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. ტეხური																								
4.8	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები – <table border="1" data-bbox="271 907 635 1227" style="margin: 10px auto;"> <thead> <tr> <th>#</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>264738.5969</td> <td>4685143.030</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>264442.8256</td> <td>4684891.334</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>264428.1995</td> <td>4684973.620</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>264578.0000</td> <td>4685195.000</td> </tr> <tr> <td>5</td> <td>264818.0000</td> <td>4685298.000</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">S = 5,0186 ჰა</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> 	#	X	Y	1	264738.5969	4685143.030	2	264442.8256	4684891.334	3	264428.1995	4684973.620	4	264578.0000	4685195.000	5	264818.0000	4685298.000	S = 5,0186 ჰა			WGS 1984		
#	X	Y																							
1	264738.5969	4685143.030																							
2	264442.8256	4684891.334																							
3	264428.1995	4684973.620																							
4	264578.0000	4685195.000																							
5	264818.0000	4685298.000																							
S = 5,0186 ჰა																									
WGS 1984																									
4.9	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 20-40 მ.																								
4.10	კლიმატური პირობები – თბილი, ტენიანი კლიმატი. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს +14,5÷15 °C, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 1200-1400 მმ.																								
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																								
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის დერძიდან – აღემატება 100 მ-ს																								
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან – 80 მ (მუნიციპალიტეტის ბალანსზე)																								
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –																								
5.4	დამატებითი მონაცემები –																								
6	სატყეო რესურსები																								
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება																								
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება																								
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –																								
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია																								
7.1	ტექტონიკური დარაიონება – ამიერკავკასიის მთათაშუა არე, დასავლეთი მოლასური დაძირვის ზონა, ოდიშის ბლოკი.																								
7.2	გეოლოგიური აგებულება – რაიონი აგებულია ცარცული, მესამეული და მეოთხეული ასაკის ნალექებით.																								
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია																								

8.1	გეოლოგიური აგებულება – სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია მდ. ტეხურის თანამედროვე მეოთხეული ალუვიური ნალექებით – ქვიშით, ხრეშით და ლოდნარით. ხრეში და ლოდნარი კარგად არის დამუშავებული და ხასიათდება სხვადასხვა ფორმებით. პეტროგრაფიულად ინერტული მასალა წარმოდგენილია ვულკანოგენური (ანდეზიტები, ტუფები, პორფირიტები და სხვ.) და დანალექი (კირქვები, მერგელები, ქვიშაქვები) ქანებით.
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – ფენობრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების შესაბამისად, მდინარეებზე არსებულ ქვიშა-ხრეშის საბადოებსა და გამოვლინებებზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცემა 3 მეტრიანი სისქის პროდუქტიული შრის დამუშავების უფლებით. ვინაიდან, წიაღითსარგებლობის ობიექტზე გაიცემა მოკლევადიანი ნებართვა, პროდუქტიული წყების სიმძლავრედ მიღებულია 1.5 მ.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი –
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – არ არის დაძიებული
9.2	საძიებო სამუშაოები – არ არის ჩატარებული
9.3	დასინჯვა – არ არის დასინჯული
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – ინერტული მასალა პეტროგრაფიულად წარმოდგენილია ანდეზიტებით, ტუფებით, პორფირიტებით, კირქვებით, მერგელებით, ქვიშაქვებით და სხვ. გრანულომეტრიული შედგენილობა (საშუალო): – ფრაქცია 5 მმ-ზე ნაკლები – 28,2%; – ფრაქცია 5-70 მმ – 52,6 %; – ფრაქცია 70 მმ-ზე მეტი – 19,2%. ქიმიური შემადგენლობა: SiO ₂ – 49.69 %; Fe ₂ O ₃ – 7.54 %; Al ₂ O ₃ – 12.1 %; Na ₂ O – 2.5 %; MgO – 3.26 %; CaO – 12.56 %; H ₂ O – 1.14 % დანაკარგები გახურებისას – 9.7%. ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები: – მოცულობითი წონა ქვიშა-ხრეშის ნარევისთვის – 1800 კგ/მ ³ ; – გაფხვიერების კოეფიციენტი – 1,08. <u>ქვიშა:</u> – მოცულობითი წონა ფხვიერ მდგომარეობაში – 1434-1574 კგ/მ ³ ; – მოცულობითი წონა მკვრივ მდგომარეობაში – 1620-1686 კგ/მ ³ ; – სიცარიელის მაჩვენებელი – 42-44%; – მტვრისებრი, თიხისებრი და ლამისებრი ნაწილაკების შემცველობა – 2,5-5,0%; – ორგანული მინარევები – ეტალონზე ღია ფერის; – სიმსხვილის მოდული – 2,6-2,9. <u>ხრეში:</u> – მოცულობითი წონა ფხვიერ მდგომარეობაში – 1676-1696 კგ/მ ³ ; – მოცულობითი წონა მკვრივ მდგომარეობაში – 1800-1882 კგ/მ ³ ; – სიცარიელის მაჩვენებელი – 35-38%; – მტვრისებრი, თიხისებრი და ლამისებრი ნაწილაკების შემცველობა – 0,5-0,6%; – რბილი ქანების შემცველობა – არ არის; – ფირფიტისებრი და ნემსისებრი მარცვლების შემცველობა – ერთეული მარცვლები; – ხრეში მსხვრეველობის მიხედვით მიეკუთვნება DP-16 მარკას. (ტეხურისპირის ქვიშა-ხრეშის საბადოს ანალოგიით)
9.5	ჰიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – სამშენებლო საქმეში

9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – არ არის დაძიებული
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – 5.0186 ჰა
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – ფართობი – 5.0186 ჰა, სიმაღლე – 1.5 მ.
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი – საშ. არითმეტიკული
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) – სალიცენზიო ობიექტზე ქვიშა-ხრეშის P (პროგნოზული) კატეგორიის მარაგებია: 50186 x 1.5 = 75279 მ ³
10.6	თანმდგვი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები –
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები –
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღისეულის მარაგების ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღისეულის მარაგების ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები – დამაკმაყოფილებელია.
11.2	წიაღისეულის მარაგების ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი.
11.3	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ –
12	წიაღისეულის მარაგების ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღისეულის მარაგების ობიექტის მორფოლოგია – წიაღისეულის მარაგების ობიექტი (ქვიშა-ხრეში) მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდინარე ტეხურის ჭალა-კალაპოტში. ობიექტის ფარგლებში და მის მიმდებარედ მდინარის ჭალა-კალაპოტი გაშლილია და მისი სიგანე საშუალოდ 300-400 მ-ის ინტერვალში მერყეობს.
12.2	წიაღისეულის მარაგების ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – სალიცენზიო ობიექტის ტერიტორიაზე ინერტული მასალა წარმოდგენილია თანამედროვე მდინარეული ნალექებით – კენჭნარით ქვიშა-ხრეშით და თიხნარით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
12.3	წიაღისეულის მარაგების ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) – მდ. ტეხურის ჭალა-კალაპოტში წარმოქმნილია ნახევარ კუნძულის სახით ჭარბი აკუმულაციური დანაგროვებები, რომელიც მდინარის ცოცხალ კვეთს უცვლის მიმართულებას, რაც იწვევს მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირის ინტენსიური ეროზიული პროცესების წარმოქმნას, ასევე საფრთხეს უქმნის მდინარის მარჯვენა ნაპირზე არსებულ დამბას და საავტომობილო ბურჯებიან ხიდს.
12.4	წიაღისეულის მარაგების ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები – მდინარის წყალუხვობის პერიოდში მოსალოდნელია ობიექტის ტერიტორიის წყლით დაფარვა.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – წარმოდგენილ კორდინატებიდან მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს მდინარის გამტარუნარიანობას.
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები – 1. სალიცენზიო ობიექტი (ქვიშა-ხრეში) მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის, ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, მდ. ტეხურის ჭალა-კალაპოტში; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებასთან დაკავშირებით. 4. წიაღისეულის მარაგების ობიექტიდან მდინარის დინების მიმართულებით 80 მ-ში ფიქსირდება საავტომობილო ბურჯებიან ხიდი, რაც უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან; 5. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3-6) გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტზე წიაღისეულის მოპოვება დასაშვებია და არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

<u>13</u>	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – ა. ჭელიძე, ა. თავბერიძე.
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1974 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – №13862. 9351
<u>14</u>	გეოსაინფორმაციო პაკეტის მომზადების თარიღი – აგვისტო, 2022 წ.

შემსრულებლები:

ნ. ჩომახიძე, ე. ბაქანიძე, მ. ქიმუცაძე, გ. ბუცხრიკიძე, ი. რობაქიძე

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩაღათაშვილი